

საქართველოს კანონი  
სამხედრო პოლიციის შესახებ

თავი I  
ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. კანონის მიზანი**

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომში – სამხედრო პოლიცია) დანიშნულებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საქმიანობის პრინციპებს და მიმართულებებს, უფლებამოსილებებს, აგრეთვე სამხედრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესსა და სოციალური დაცვის გარანტიებს.

**მუხლი 2. სამხედრო პოლიციის სამართლებრივი სტატუსი**

სამხედრო პოლიცია არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სპეციალური სამართლდამცავი ქვედანაყოფი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეთა გამოძიებას, საქართველოს შეიარაღებული ძალების ობიექტებისა და მათი დისლოკაციის ადგილების, აგრეთვე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამოქალაქო შენობა-ნაგებობების (საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ) დაცვას და კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

**მუხლი 3. სამხედრო პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.**

სამხედრო პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, ეს კანონი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

**მუხლი 4. სამხედრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები**

1. სამხედრო პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის, სამხედრო პოლიციის სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს.

2. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები მოუხედავად მისი მოქალაქეობისა, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა.

3. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს ეკრძალება:

ა) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შექმნა ან მასში მონაწილეობა;

ბ) გაამჟღავნოს სახელმწიფო, სამსახურეობრივი ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, გამოძიების მასალები, რომელიც ეხება მოქალაქის პირად ცხოვრებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზება ან/და ჩატარება, ასევე მასში მონაწილეობის მიღება;

დ) შეთავსებით მუშაობა ანაზღაურებად სამუშაოზე, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან რაიმე თანამდებობის დაკავება რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში, ან რაიმე ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება ან/და რაიმე თანამდებობის დაკავება სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

#### **მუხლი 5. საერთაშორისო ურთიერთობანი.**

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამხედრო პოლიცია თანამშრომლობს სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

#### **მუხლი 6. სამხედრო პოლიციის თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან.**

დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით სამხედრო პოლიცია თანამშრომლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, და მოქალაქეებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **თავი II**

#### **სამხედრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**

#### **მუხლი 7. სამხედრო პოლიციის მიზნები და ამოცანები**

1. სამხედრო პოლიციის საქმიანობის მიზნები და ამოცანებია:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში დანაშაულის გამოვლენა, თავიდან აცილება, გამოძიება, დამნაშავე პირთა ძებნა-დაკავება ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

ბ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია, გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტების დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო ობიექტების დაცვითი და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ,

ე) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამოხელეო დანაშაულის და კორუფციულ გარიგებათა პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვება, გადამუშავება და მისი ანალიზი;

2. სამხედრო პოლიციას არ შეიძლება დაეკისროს ისეთი ამოცანების შესრულება, რომელიც ამ კანონით პირდაპირ არ არის განსაზღვრული.

## მუხლი 8. სამხედრო პოლიციის უფლებამოსილებანი

სამხედრო პოლიცია უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს პირს დაიცვას მართლწესრიგი, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

ბ) განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში გამოავლინოს, გახსნას და აღკვეთოს დანაშაული, დაიწყოს და აწარმოოს წინასწარი გამოძიება, გამოიყენოს ფიზიკური იძულება კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით.

გ) ჩაატაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით კომპეტენციიდან გამომდინარე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მიზნით მოითხოვოს (წერილობით ან სიტყვიერად) და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის ადგილზე გაცნობით) ნებისმიერი ღოკუმენტი ან ინფორმაცია მითითებული ვადებისა და ფორმის დაცვით.

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფორმით გამოიძახოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნებისმიერი საჯარო, მათ შორის სამხედრო მოსამსახურე ან/და თანამდებობის პირი, აგრეთვე ნებისმიერი პირი, მიიღოს მისგან წერილობითი ან/და სიტყვიერი განმარტება, რაც უზრუნველყოფს სამხედრო პოლიციაზე დაკისრებული მოვალეობების სრულყოფილ შესრულებას.

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით და კომპეტენციის ფარგლებში შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი;

ზ) სამხედრო მოსამსახურის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს სატრანსპორტო საშუალებები და მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

თ) უზრუნველყოს სამხედრო პატრულის ფუნქციონირება;

ი) შეამოწმოს პირის პირადობის დამადაცტურებელი საბუთი, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები მის მიერ დანაშაულის ან ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის შესახებ;

კ) საქართველოს შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილებზე უზრუნველყოს უსაფრთხოების ოფიცერთა ფუნქციონირება;

ლ) აღკვეთოს სამხედრო პირთა მიერ უკანონო გამოსვლების მიტინგების პიკეტების და სხვაგვარი აქციების მოწყობა;

მ) საქართველოს შეიარაღებული ძალების შენაერთების დისლოკაციის შეცვლა და საბრძოლო-სატრანსპორტო ტექნიკის გადაადგილებისას საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, აგრეთვე ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩაკეტოს ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე;

ნ) დანაშაულის ჩადენის ფაქტზე წასწრების შემთხვევაში, დააკავოს სამოქალაქო პირი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენისათვის. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩაატაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გადასცეს დაკავებული პირი და მასალები შესაბამის ორგანოებს;

ო) კანონით დადგენილი წესითა და ფორმით აწარმოოს ძებნილ პირთა ძებნა-დაკავების მოქმედებები;

პ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში დამნაშავის დევნის, დაკავებულის პოლიციაში წარმოსადგენად, აგრეთვე სამკურნალო დაწესებულებაში იმ პირთა

მისაყვანად, რომლებიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ, უფასოდ ისარგებლონ სატრანსპორტო საშუალებით (დიპლომატიური ან საკონსული წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სპეციალური ტრანსპორტის გარდა);

რ) უსასყიდლოდ მიიღოს საწარმოს, ორგანიზაციისა და მოქალაქისაგან ინფორმაცია იმ შემთხვევის გარდა, როცა კანონით დადგენილია ინფორმაციის მიღების სპეციალური წესი;

ს) ჩაატაროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სატრანსპორტო (საბრძოლო-სატრანსპორტო) საშუალებების მართვის უფლების მისაღებად საჭირო გამოცდები და გასცეს მძღოლების შესაბამისი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობები.

ტ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინონ ექვმიტანილის, ბრალდებულის, ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპია, ფოტო-კინო-ვიდეო-აუდიო გადაღება, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება, აგრეთვე ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;

უ) საგანგებო სამხედრო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, კანონით განსაზღვრული კომპეტენციიდან გამომდინარე მოაწყოს რეიდები დასახლებულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალებზე და ტერიტორიულ წყლებში;

ქ) კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარამოხატა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, გამოძიებისა და სასამართლოსაგან მიმალული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გვამის ვინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად;

ღ) მგზავრების პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი პირის, ბრალდებულის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით დადგენილი წესით შეაყოვნოს სარკინიგზო, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის გასვლა არაუმეტეს 30 წუთისა;

ყ) უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, აგრეთვე საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი უცხო ქვეყნების თავდაცვის სისტემის მაღალი რანგის თანამდებობის პირთა (სამოქალაქო და სამხედრო) დაცვა (საჭიროების შემთხვევაში ესკორტით გადაადგილება);

შ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფორმით უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების, სატრანსპორტო საშუალებების მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების სანომრე ნიშნების გაცემა;

ჩ) განახორციელოს კანონმდებლობითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული სხვა საქმიანობა.

## **მუხლი 9. სამხედრო პოლიციის ვალდებულებები**

სამხედრო პოლიცია ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შესაძლებლობა მოსცეს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს კანონის შესაბამისად განახორციელოს სამართლებრივი დაცვის უფლება, შეატყობინოს მის შესახებ ოჯახს, საშუალო ან საწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობას;

ბ) სასამართლოს და პროკურორის გადაწყვეტილებით, განახორციელოს დაზარალებულის, მოწმისა და პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებების, თუ მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება;

გ) გამოძიების პროცესში დაადგინოს სამართალდარღვევის გამოწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, სამართალდამრღვევ პირებთან ჩაატაროს ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობა;

დ) უზრუნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და გადაყვანა საპატიმრო დაწესებულებაში;

ე) აღასრულოს მოსამართლის დადგენილება ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ;

ვ) შეასრულოს, ქვემდებარებით, პროკურორის (გამომძიებლის) წერილობითი დავალებები და მითითებები საგამოძიებო და ოპერატიული-საძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ, დახმარება აღმოუჩინოს მათ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას;

ზ) გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს უბედური შემთხვევისა და საზოგადოებრივად საშიში ქმედების შედეგად დაზარალებულს, უმწეო მდგომარეობაში, აგრეთვე ტოქსიკური, ნარკოტიკული ან ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფს, თუ ასეთ პირს დაკარგული აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი, ან შეუძლია საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ;

თ) კომპეტენციიდან გამომდინარე აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილებები, მოსამართლის, პროკურორის და გამომძიებლის დადგენილებები იმ პირთა წარმოდგენის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სასამართლოში, პროკურატურაში ან საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, აგრეთვე აღასრულოს სასამართლოს, პროკურორისა და გამომძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ;

ი) დაეხმაროს შინაგან საქმეთა, ბუნების დაცვის, იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს კანონიერი საქმიანობის განხორციელებაში;

კ) საომარი მდგომარეობის პირობებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საერთაშორისო შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი წესითა და ფორმით უზრუნველყოს სამხედრო ტყვეთა ბანაკების დაცვა და უსაფრთხო ფუნქციონირება.

### თავი III

#### ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

**მუხლი 10. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება**

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო პოლიციის თანამშრომელს მინიჭებული უფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები, სამსახურებრივ-სამტატო და სამხედრო-საბრძოლო იარაღი.

2. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო რათა მან შეასრულოს სამხედრო პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქისა და სამხედრო პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება.

3. სპეციალური საშუალების სახეობა, ფიზიკური იძულების ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული ვითარების, სამართალდარღვევის ხასიათისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით.

## მუხლი 11. ფიზიკური იძულების გამოყენება

სამხედრო პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით გამოიყენოს ფიზიკური იძულება (მათ შორის ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები) დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამნაშავის ან/და სამართალდამრღვევის დასაკავებლად თუ ძალადობის მეთოდების გამოყენებლობა ვერ უზრუნველყოფს სამხედრო პოლიციის თანამშრომლის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

## მუხლი 12. სპეციალური საშუალებების გამოყენება

1. სასამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას სამხედრო პოლიციის თანამშრომელს, კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს გამოიყენოს სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ტრანსპორტის იძულებით გაჩერება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი, ელექტროშოკური მიწყობილობა ამ მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება – დანაშაულის ჩამდენი იმ პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს სამხედრო პოლიციის თანამშრომელს, ან ცდილობს გაქცევას, ან იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები;

ბ) რეზინის ხელკეტი – სამხედრო პოლიციის თანამშრომელზე ან/და სამხედრო პოლიციის მიერ დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისას; დანაშაულის ჩამდენი საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება სამხედრო პოლიციის თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნას საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად.

გ) ცრემლსადენი გაზი – სამხედრო პოლიციის თანამშრომელზე, სამხედრო პოლიციის მიერ დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად. დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, რათა მან დატოვოს დაკავებული სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს;

დ) დაბრკოლების დამარღვეველი საშუალება – დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის დაკავებისას, მძევლების გასათავისუფლებლად;

ე) ტრანსპორტის იძულებით გაჩერების საშუალება – იმ სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმაც არ შეასრულა სამხედრო პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა – შეეწყვიტა სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა (გადაადგილება);

ვ) სპეციალური საღებავი – მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის გამოსავლენად;

ზ) სასამსახურო ძაღლი – ოპერატიულ სამებრო ღონისძიებების განსახორციელებლად;

თ) ელექტრო – შოკური მიწყობილობა – სამხედრო პოლიციელზე ან/და სამხედრო პოლიციის მიერ დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად, ამ დანაშაულებრივი ქმედების არსაკვეთად თუ არ არსებობს საფრთხის აცილების სხვა უფრო მსუბუქი საშუალება.

2. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების შედეგად ან სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაზარალებულ პირს და საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს ექიმს, ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად დაჭრის ან დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს.

3. აკრძალულია ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი არიან შეიარაღებულნი და ახორციელებენ ჯგუფურ თავდასხმას, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ სამხედრო პოლიციის თანამშრომელს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

### მუხლი 13. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

1. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივ – საშტატო და სხვა იარაღი და სპეცსაშუალებები, რომლებიც ნებადართულია კანონით.

2. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი ღონისძიების სახით ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენოს:

ა) მოქალაქის ან/და თავის და დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

გ) განგაშის სიგნალის მისაცემად ან დამხმარე ძალის გამოსაძახებლად;

დ) იძულებით გაჩერების მიზნით სატრანსპორტო საშუალების დასაზიანებლად, თუ მძღოლი არ ემორჩილება სამხედრო პოლიციის თანამშრომლის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ;

ე) კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემთხვევაში.

3. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა ეძღვოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.

4. გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენება:

ა) შეიარაღებული, საბრძოლო ტექნიკის, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;

ბ) ტრანსპორტის გამოყენებით (ან სატრანსპორტო საშუალებიდან) დაკავებულის გაქცევის შემთხვევაში;

გ) დამნაშავეს დაკავების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;

დ) დაკავებულის შეზღუდული ხილვადობისას და ტყიან ადგილებში გაქცევისას;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

5. აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაშავება, აგრეთვე ცეცხლსაშიშ, ფეთქებად საშიშ ადგილებში; ასევე წინასწარი შეცნობით ორსულთა, მცირეწლოვანთა, ინვალიდთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციის თანამშრომელს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხითა და საშუალებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

6. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ თავის უშუალო უფროსს.

7. სამხედრო პოლიციის შეიარაღებაში არსებულ სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ნუსხას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

8. აკრძალულია ისეთი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენება, რომელიც იკრძალება საერთაშორისო კონვენციებითა და სამართლებრივი აქტებით.

9. სამხედრო-საბრძოლო იარაღის გამოყენება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### თავი IV

#### სამხედრო პოლიციის ოპერატიულ-სამშებრო საქმიანობა

**მუხლი 14. სამხედრო პოლიციის ოპერატიულ-სამშებრო საქმიანობის პრინციპები.**

დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის და/ან მისი გახსნის მიზნით სამხედრო პოლიცია ოპერატიულ-სამშებრო საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ოპერატიულ-სამშებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

#### თავი V

#### სამხედრო პოლიციის ორგანიზება და ხელმძღვანელობა

**მუხლი 15. სამხედრო პოლიციის ორგანიზება.**

1. სამხედრო პოლიცია არის საქართველოს თავდაცვის სისტემაში დეპარტამენტის სტატუსით შემავალი სპეციალური სამართალდამცავი ქვედანაყოფი, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინაშე.

2. სამხედრო პოლიცია დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მათ შორის უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული საქართველოს შეიარაღებული ძალების დისლოკაციისა და სამხედრო პოლიციის დაცვის ქვეშ მყოფი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობების შენობა-ნაგებობის ტერიტორიაზე) და ფუნქციონირებს ერთიანი ცენტრალიზებული წესით.

3. სამხედრო პოლიციის ორგანიზების სხვა საკითხებს, სტრუქტურას და ამ სტრუქტურული დანაყოფების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

**მუხლი 16. სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელობა**

1. სამხედრო პოლიციის მართვას, კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ანგარიშგაღებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინაშე.

2. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამხედრო პოლიციასა და პასუხისმგებელია სამხედრო პოლიციაზე საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

ბ) თავის კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებებს იღებს სამხედრო პოლიციის გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) თვალყურს ადევნებს სამხედრო პოლიციის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას და ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამხედრო პოლიციის თანამშრომლების საქმიანობასა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ამ კანონით დადგენილი წესით;

დ) პასუხისმგებელია სამხედრო პოლიციისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ფასულობების (მათ შორის, შეიარაღების, საბრძოლო მასალის, სპეციალური ტექნიკის, სპეციალური საშუალებების და ა.შ.) მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;

ე) სამხედრო პოლიციის დებულების პროექტს, სტრუქტურასა და საშტატო განრიგს, ასევე ზემოხსენებულ აქტებში სათანადო ცვლილებების პროექტებს, დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს თავდაცვის მინისტრს;

ვ) პერიოდულად საქართველოს თავდაცვის მინისტრს წარუდგენს ანგარიშს სამხედრო პოლიციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ და ინფორმაციას – სამხედრო პოლიციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე;

ზ) სამხედრო პოლიციის კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს, მეთოდურ მითითებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა სამხედრო პოლიციის თანამშრომლებისათვის;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრს წარუდგენს შუამდგომლობებს სამხედრო პოლიციის თანამშრომლების დანიშვნის, გათავისუფლების, აგრეთვე სადისციპლინო წესდებით განსაზღვრული წესითა და ფორმით, მათთვის წოდების მინიჭების თაობაზე;

ი) საქართველოს თავდაცვის მინისტრს წარუდგენს წინადადებებს სამხედრო პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თაობაზე და სამხედრო პოლიციაში სამსახურის გავლის საკითხების გადაწყვეტის შესახებ;

კ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ლ) სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფს, თავდაცვის მინისტრთან შეთანხმებით, წარუდგენს წინადადებებს თავდაცვის ბიუჯეტის ფორმირებისას.

3. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

4. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე.

5. სამხედრო პოლიციის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებს და მათ მოადგილეებს, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

6. სამხედრო პოლიციის გამომძიებლებს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

## თავი VI

### სამხედრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი და თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები

#### მუხლი 17. სამხედრო პოლიციაში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლები

სამხედრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი და თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით;

#### მუხლი 18. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი

1. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი არის სამხედრო მოსამსახურე, ამასთან სამხედრო პოლიციის სამსახურში მიიღებიან სამოქალაქო პირებიც.

2. თანამდებობის და წელთა ნამსახურობის გათვალისწინებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სამხედრო პოლიციის თანამშრომელს ენიჭება სამხედრო წოდება. მას ასევე ენიჭება სპეციალური ფორმის ტანსაცმლისა და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება.

3. სამხედრო პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი ფორმის სახესა და ატრიბუტიკას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს თავისი ვინაობისა და უფლებამოსილების დამადასტურებლად ეძლევა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

5. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი საქმიანობისას დამოუკიდებელია.

### **მუხლი 19. სამხედრო პოლიციაში მიღების წესი**

1. სამხედრო პოლიციაში სამუშაოდ მიიღება საქართველოს მოქალაქე არანაკლებ 20 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და რომელსაც პიროვნული თვისებებით, განათლებით, ფიზიკური მომზადებით და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, გავლილი აქვს სავალდებულო სამხედრო სამსახური ან კანონის საფუძველზე აქვს გადავადება ან განთავისუფლებულია მისგან, აგრეთვე აკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (გამომძიებლებისათვის-უმალღესი იურიდიული განათლება).

2. სამხედრო პოლიციაში სამუშაოდ არ მიიღება;

ა) ნასამართლვეი პირი;

ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური და სხვა ქრონიკული სნეულებებით დაავადებული პირი;

გ) პირი, რომელიც სასამართლო წესით ქმედუნარიოდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად არის ცნობილი.

### **მუხლი 20. სამხედრო პოლიციის თანამშრომლის წახლისება, პასუხისმგებლობა და სამსახურიდან დათხოვნა**

სამხედრო პოლიციის თანამშრომლის წახლისებისა და პასუხისმგებლობის ფორმებს, აგრეთვე სამსახურიდან დათხოვნის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

### **მუხლი 21. სამხედრო პოლიციის თანამშრომლების მატერიალური პასუხისმგებლობა**

1. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი პასუხისმგებელია იმ ზიანისთვის, რომელიც მან მიაყენა ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს თავისი ბრალეული ქმედებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

2. ზიანი ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **თავი VII**

**სამხედრო პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა**

### **მუხლი 22. სამხედრო პოლიციის დაფინანსება**

სამხედრო პოლიცია, მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების ჯეროვანი განხორციელების მიზნით, ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან.

**თავი VIII**  
**სამხედრო პოლიციის კონტროლი და ზედამხედველობა**

**მუხლი 23. საპარლამენტო კონტროლი**

სამხედრო პოლიციის საპარლამენტო კონტროლი ზორციელდება საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მეშვეობით.

**მუხლი 24. საპროკურორო ზედამხედველობა**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვემდებარე დანაშაულების გამოძიებაზე ზედამხედველობას ახორციელებს გენერალური პროკურატურა.

**თავი IX**

**გარდამავალი დებულებები**

**მუხლი 25** ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გამოსცეს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულება;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პაუპტვახტის ფუნქციონირების შესახებ ინსტრუქცია;

**თავი X**

**დასკენითი დებულებები**

**მუხლი 26. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი